ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31220836**
თარიღი: **24/03/2022**

ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“

სხდომის ოქმი №6

ლანჩხუთი 21.03.2022 წელი

13.00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე – **მაკა მშვიდობაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ: ჯუმბერ ბლაგიძე, გოჩა ჯანაშია.

მოწვეული პირები: ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის დირექტორი - გელა ზოიძე და ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ დირექტორი- ლია ურუშაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და ფრაქციის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის მიერ 2017-2021 წ.წ. გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდობაძე/

2. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ მიერ 2017-2021 წ.წ. გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდობაძე/

3. სხვადასხვა:

1. დღის წესრიგის პირველ საკითხზე - ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის მიერ 2017-2021 წ.წ. გაწეული მუშაობის ანგარიში სხდომას წარუდგინა დირექტორმა გელა ზოიძემ, მან განმარტა, რომ 2009 წელს შეიქმნა აღნიშნული ა(ა)იპ-ი, 4- ჯერ მოხდა რეორგანიზაცია, ამჟამად 5 განყოფილებით აგრძელებენ მუშაობას. მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულება არის სოფლის მეურნეობის განვითარება. დარეგისტრირებული იყო კოოპერატივები, რამდენიმე ახლაც აგრძელებს წარმატებულ საქმიანობას. ასევე „აწარმოე საქართველოს“ მიერ იქნა დაფინანსებული 115 პროექტი, აქედან უმეტესობა დაფინანსებული იყო ლანჩხუთში. გელა ზოიძემ ისაუბრა მათ მიერ განხორციელებულ, აცანაში-ჩოჩხათის, ჯიხეთის დედათა მონასტერის (ნაწილობრივ განხორციელდა) და სხვადასხვა პროექტებზე. ასევე აგროფესტივალებზე, რომელიც ჩატარდა.

ფრაქციის წევრები დაინტერესდნენ ბიუჯეტის და რეორგანიზაციის საკითხებით, ზოიძის განმარტებით ბიუჯეტი შეადგენს 170000 ლარს, 19 თანამშრომელი ყავთ შტატით და 8 შტატგარეშე, იგეგმება რეორგანიზაცია და სავარაუდოდ 3 განყოფილებით გააგრძელებენ მუშაობას.

ფრაქციის წევრი გოჩა ჯანაშია დაინტერესდა მოსალოდნელ ხვნა-თესვით სამუშაოებთან დაკავშირებით, ზოიძის თქმით კომპანიებს შემოტანილი აქვთ უკვე ტექნიკა და მომავალ კვირაში იგეგმება მათთან შეხვედრა.

ფრაქცია დადებითად აფასებს აღნიშნულ ა(ა)იპ-ის მუშაობას.

2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე - ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ მიერ 2017-2021 წ.წ. გაწეული მუშაობის ანგარიში სხდომას წარუდგინა დირექტორმა- ლია ურუშაძემ, აღნიშნა, რომ 2018 წლიდან მოხდა გამოყოფა „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებიდან“ და გახდა დამოუკიდებელი ა(ა)იპ. სამუსიკო სკოლებში მოსწავლეებისათვის დაწყებითი სამუსიკო განათლების მიცემა (სწავლის ხანგრძლივობა 6 წელი), დამატებითი მე-7 წელი გათვალისწინებულია კარგი მუსიკალური მონაცემების მქონე ბავშვებისთვის, ვისაც სურვილი აქვთ დაწყებითი განათლების შემდგომ, მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელების. ასევეა დაწყებითი სამხატვრო განათლების მიცემის სწავლის ხანგრძლივობა. ქალბატონი ლიას თქმით მონაწილეობას ღებულობენ ყველა ღონისძიებაზე და წარმატებით გამოდიან სხვადასხვა ფესტივალებზე.

2018 წლის ბიუჯეტი 229600 ლარს შეადგენდა, აქედან ადგილობრივი შემოსავალი იყო სამუსიკო სკოლებიდან (სწავლის ქირა) 310000 ლარი.

2019 წლის ბიუჯეტი 303350 ლარს შეადგენდა, ადგილობრივი შემოსავალი კი 39000 ლარით იყო დაგეგმილი.

2020 წლის სუფსიდია განისაზღვრა 320200 ლარით, სწავლის გადასახადით შემოსული თანხა 14000 ლარი.

2021 წლის ბიუჯეტში, ადგილობრივი შემოსავალი დაგეგმილი იყო 31000 ლარი, ორივე სამუსიკო სკოლიდან შემოვიდა 20815 ლარი.

ლია ურუშაძის თქმით სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან ბავშვები თავისუფლდებიან გადასახადიდან. 2021 წელი მიუხედვად პანდემიისა 2020 წელთან შედარებით უფრო წარმატებული და ნაყოფიერი იყო.

ამჟამად ა(ა)იპ-ს ჰყავს 71 თანამშრომელი შტატით და 9 შტატგარეშე, ჯერ რეორგანიზაცია არ მომხდარა. რაც შეეხება ანაზღაურებას, რეგიონში ყველაზე დაბალი ანაზღაურება ლანჩხუთშია. 1 საათის ანაზღაურება საშუალო სპეციალური განათლების მქონე პედაგოგებისთვის 15 ლარი, უმაღლესი განათლების მქონე პედაგოგების - 17 ლარია. დირექტორის ხელფასი -800, ბუღალტერის-600, სპეციალისტების - 500 ლარი, ხოლო დამლაგებლის ანაზღაურება 200 ლარს შეადგენს.

ლია ურუშაძემ ასევე აღნიშნა, რომ ეკონომიის ხარჯზე სამუსიკო სკოლებში შეძენილი იქნა კონდიციონერები.

ქალბატონმა ლიამ დახმარებით მიმართა ფრაქციის წევრებს, რათა ნინოშვილის ქუჩაზე, სადაც არის სამუსიკო და სამხატვრო სკოლები, გზაზე მოხდეს სიჩქარის შემზღუდავი ბარიერის დაყენება, რადგან ავტომობილები სწრაფად მოძრაობენ და ბავშვების გადასვლა ქუჩაზე საფრთის შემცველია.

ფრაქციის წევრები დაინტერესდნენ და მხარს უჭერენ ხელფასის მატების საკითხს. ასევე ფრაქციის თავმჯდომარემ მადლიერება გამოთქვა ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელის მიმართ, რასაც ფრაქციის წევრებიც დაეთანხმნენ.

სხვადასხვაში: ფრაქციის წევრმა ჯუმბერ ბლაგიძემ ისევ დააყენა საკითხი, კომისიებში და საკრებულოს სხდომაზე დაყენებულ საკითხებზე მოხდეს წერილობითი რეაგირება.

ვინაიდან სხვა საკითხები ფრაქციის წევრების მიერ არ დასმულა, ფრაქციის თავმჯდომარემ სხდომა დამთავრებულად გამოაცხადა.

მაკა მშვიდობაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის

„ლანჩხუთი საქართველოსთვის“ სხდომაზე დეპუტატთა

დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

21.03. 2022 წელი

13:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	მაკა მშვიდობაძე	13:00	
2	გოჩა ჯანაშია	12 50	
3	ჯუმბერ ბლაგიძე	12 55	